

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-
ნაგებობის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

სახელმწიფო ქონების ეფექტიანმა გამოყენებამ და განკარგვამ უნდა უზრუნველყოს ისეთი ქონებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. ეს შეეხება, როგორც სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობას, ისე მისი სარგებლობის უფლებით გადაცემას.

საქართველოში სახელმწიფო ქონების განკარგვის საკანონმდებლო პოლიტიკა განსაზღვრულია კანონით „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების განხორციელების ძირითად პირობებს და უზრუნველყოფს ფიზიკური და ორიდული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კანონი ეხება სახელმწიფო ქონების განკარგვის მხოლოდ ერთ სფეროს – პრივატიზებას, სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო ქონების განკარგვის სხვა ფორმებს – მისი სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, საკანონმდებლო დონეზე აღნიშნული საკითხი არ რეგულირდება. ამ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგება სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოითხოვს სპეციალური ადმინისტრაციული კანონმდებლობის შექმნას, რაც ახალი საკანონმდებლო აქტის მიღების საშუალებით უნდა განხორციელდეს. სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის სფეროში მოქმედებს ჯერ კიდევ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც აშკარად მოძველებულია და ვერ პასუხობს განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს. აუცილებელია სახელმწიფო ქონების განკარგვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, რაც ახალი საკანონმდებლო აქტის მიღების საშუალებით უნდა განხორციელდეს.

კანონის პროექტი განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით გადაცემის სპეციალურ მოთხოვნებს. გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობის გადაცემის შემდეგი ფორმები: 1) უზუფრუქტი 2) ქირავნობა, 3) იჯარა, 4) თხოვება.

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გაღებასთან.